Zoma Focus Multi

ლაქების ამომყვანი,მულტიფუნქციური საშუალება

აღწერა:

Zoma Focus Multi არის ლაქების მოსაშორებელი საშუალება, აშორებს სხვადასხვა სახის ლაქებს, როგორიცაა მაკიაჟი, პომადა, მელნისა და წებოს ლაქები და სხვა. პროდუქტი სპეციალურად არის შემუშავებული კომერციულ და სარეცხ ქარხნებში (სამრეცხაოებში) გამოსაყენებლად. პროდუქტი არის მზა და გამოიყენება სხვადასხვა სახის ქსოვილზე.

ძირითადი მახასიათებლები:

Zoma Focus Multi არის გამხსნელების და სხვა გამწმენდი კომპონენტების ნაზავი, რომელიც შექმნილია სხვადასხვა სახის ლაქების ეფექტური მოცილებისათვის, როგორიცაა მაკიაჟი, წებოვანი ლაქები, მელანი, ნახშირი, მური, კოსმეტიკური ლაქები(ტონალური, პომადა), ფანქრის ლაქები, ბალახის ცხიმი, ტუშოვანი საღებავი, ფისი, კუპრი, გუდრონი, ფეხსაცმლის პოლიროლი.

დადებითი მხარეები:

- ეფექტურად აშორებს სხვადასხვა სახის ლაქებს.
- არ აზიანებს ქსოვილს.
- მაღალი კონცენტრაცია გარემოზე ზემოქმედების შეზღუდვის მიზნით.
- მარტივი და უსაფრთხოა გამოსაყენებლად.

გამოყენების წესები:

საუკეთესო ეფექტის მიღწევა შესაძლებელია, თუ ლაქების მოსაშორებელი საშუალება პირდაპირ ლაქაზე იქნება დატანილი გარეცხვის წინ (მშრალ ქსოვილზე). დააყოვნეთ ხსნარი 5-10 წუთის განმავლობაში. არ დააყოვნოთ ხსნარი 15 წუთზე მეტი. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ რბილი ჯაგრისი და შემდგომ გარეცხეთ სარეცხ მანქანაში.

ტექნიკური მონაცემები

გარეგნული ფორმა: წმინდა ღია ყვითელი სითხე

შედარებითი სიმკვრივე [20 ºC] - 0.96

Ph - 8.2

ზემოთნახსენები მონაცემები წარმოადგენენ ტიპიურ სიდიდეებს და სპეციფიკაციებად არ უნდა განიხილებოდნენ.

ინფორმაცია უსაფრთხო დამუშავებასა და შენახვაზე

შეინახეთ თავისივე კონტეინერში დახურულ მდგომარეობაში . მოარიდეთ მაღალ ტემპერატურას. პროდუქტის გამოყენებისა და განთავსების შესახებ სრული ინსტრუქციის ნახვა შესაძლებელია არსებითი უსაფრთხოების მონაცემების ფურცელზე.